საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავი სული

ავი სული, ავსული, ბოროტი ძალა, ზიანის მომტანი ძალა. უძველესი რელიგიური წარმოდგენების თანახმად, ისინი ყველგან არიან და შეუძლიათ ადამიანისათვის ზიანის – ავადმყოფობის, ხიფათის და სხვ. – მოტანა. უპირისპირდებიან კეთილ ძალებს, რ-ებიც იცავენ ადამიანს. საქართველოში სწამდათ, რომ არსებობდა ჭინკა, ალი, ქაჯი, მაჯლაჯუნა და სხვ., რ-თაც შეეძლოთ სხვადასხვა სახით ჩვენებოდნენ ადამიანს. უფრო მოგვიანებით, ირანული რელიგიის გავლენით, გავრცელდა შეხედულება ეშმაკის შესახებ. მან სათანადო ადგილი დაიჭირა ქრისტიანულ რელიგიაშიც. ავსულთაგან თავის დასაცავად ხალხი სათანადო რიტუალებს ასრულებდა, რ-თაგან განსაკუთრებით პოპულარულია ჭიაკოკონობა. მსოფლიოს დიდ რელიგიებში ა. ს-ები იქცნენ ბოროტების განყენებულ სიმბოლოდ: დიაბოლოსი, სატანა, ბელზებელი (ქრისტიანთა შორის), შაითანი, იბლისი (მუსლიმანებთან). რელიგიური ლიტ-რა მათ თვლის შერისხულ ანგელოზებად, რ-თაც არ ისურვეს დამორჩილებოდნენ ღვთის ნებას და განდევნილ იქნენ ცის სასუფევლიდან თავიანთ მომხრე ანგელოზებთან ერთად.

ირ. სურგულაძე